საქართველოს პროკურატურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა
2022 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას 2022 წლისთვის.

საქართველოს პროკურატურისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, შშმ პირთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე შშმ პირების უფლებების დაცვა მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს პროკურატურამ ღონისძიებების განხორციელება 2016 წლიდან დაიწყო.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების თაობაზე“. აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავება მიზნად ისახავდა სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში შშმ მოწმის/დაზარალებულის საჭიროებებისა და მათთან ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას გასათვალისწინებელი გარემოებების განსაზღვრას, ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

ეროვნული საკანონმდებლო ბაზა და ნაკისრი ვალდებულებები

2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელიც შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგების, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნასთან ერთად ითვალისწინებს სახელმწიფო უწყებების, მათ შორის საქართველოს პროკურატურის რიგ ვალდებულებებს.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა ვალდებულია:

1. *თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სამართალწარმოების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს შესაბამის პროცესში მათი როლის ეფექტიანად შესრულებას, მათ შორის, მოწმის სახით, გამოძიების ეტაპზე.*
2. *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამართალწარმოების ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნდა შეიმუშაოს ინსტრუქციები:*

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 30 მარტის ბრძანებით დამტკიცდა და პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების მიერ შესრულდა "საქართველოს პროკურატურის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა".

საქართველოს პროკურატურის მიერ 2021 წელს გატარებული ღონისძიებები შშმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით

საქართველოს პროკურატურამ შეასრულა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით ნაკისრი ვალდებულება და საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით პროკურორებისთვის და პროკურატურის გამომძიებლებისთვის დამტკიცდა ორი სახელმძღვანელო მითითება:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა.

სახელმძღვანელო მითითებების მიზანია პროკურორისა და გამომძიებლის საქმიანობის წარმართვა შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის ფსიქიკური და ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, სამართალწარმოების ყველა სტადიაზე მათი თანასწორუფლებიანი, სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობა.

აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებები ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის სპეციფიკას, გამომძიებლისა და პროკურორის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების, ასევე საგამოძიებო და საპროკურორო ტექნიკების იმგვარად გამოყენების პოლიტიკას, რაც შშმ პირების ინტერესების ეფექტიან დაცვას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და გონივრული მისადაგების პრინციპს უზრუნველყოფს.

სახელმძღვანელო მითითებები სრულად შეესაბამება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილ სტანდარტებს და განკუთვნილია პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების საპროცესო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესება და ეფექტიანი კომუნიკაცია. აღნიშნული მიზნით, პროკურატურა უზრუნველყოფს თანამშრომელთა

განგრძობად პროფესიულ განათლებასა და გადამზადებას. ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურაში შემუშავდა და დაინერგა სასწავლო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ეფექტიანი კომუნიკაციის თემაზე. შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ სახელმძღვანელო მითითებები ინტეგრირდა სასწავლო კურსებში, მათ შორის ოჯახური დანაშაულების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსებსა და შშმ პირთა შესახებ არსებულ ტრენინგ-მოდულებში.

საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, 2021 წლის 10 აპრილიდან საპროკურორო და საგამოძიებო საქმიანობას მხოლოდ სპეციალიზებული პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები ახორციელებენ. შეირჩნენ პროკურატურაში სხვადასხვა პოზიციებზე მყოფი თანამშრომლები - პროკურორები, გამომძიებლები, მენეჯერები, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები, რომლებმაც გაიარეს გადამზადების ინტენსიური კურსები და საპროცესო ხელმძღვანელობას უწევენ შშმ პირთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების მისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის მისაწვდომია პროკურტურის 16 ადმინისტრაციული შენობა.

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემუშავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წინამდებარე სამოქმედო გეგმა 2022 წლისთვის.

<table>
<tr><td colspan="4">საქართველოს გენერალური პროკურატურის შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა 2022 წლისთვის</td></tr>
<tr><td>მიზანი 1.</td><td colspan="3">შშმ პირთა (მათ შორის არასრულწლოვანთა) მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაზრდა</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.1.</td><td colspan="3">შშმ პირების უფლებების, მათი საჭიროებების გათვალისწინებით გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td>ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2021)

საქართველოს პროკურატურაში დაინერგა სახელმძღვანელო მითითებები „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან/და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ და „არასრულწლოვან შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან/და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2022)

სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც მონაწილეობენ შშმ მოწმე, დაზარალებული და ბრალდებული პროკურორების და გამომძიებლების მხრიდან სახელმძღვანელო მითითებების გამოყენების შემთხვევები გაზრდილია</td></tr>
<tr><td>2021 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით ისარგებლა 18-მა შშმ პირმა</td><td colspan="2">შშმ პირების მხრიდან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი გაზრდილია</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.1.</td><td colspan="3">„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
„შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი ჩატარებულია</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.2.</td><td colspan="3">„შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი</td></tr>
<tr><td></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
</table>

	„შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითების შესრულების მონიტორინგი ჩატარებულია	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 1.1.3.	შშმ პირების მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობის გაზრდა			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: გაზრდილია შშმ პირების მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მონაწილეობისა და შშმ პირების მხრიდან კოორდინატორის სამსახურით სარგებლობის მაჩვენებელი	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			
ამოცანა 1.2.	შშმ პირების უფლებებზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის განგრძობადი ამაღლება			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2021) საქართველოს პროკურატურაში შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის თემაზე, შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების თემაზე ჩატარებული 14 ტრენინგის შედეგად, გადამზადებულია 225 თანამშრომელი.	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2022)** შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგებისა და გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა გაზრდილია		
აქტივობა 1.2.1.	შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის/მენეჯერებისთვის/მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის 2 ტრენინგის ჩატარება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი:	**დაფინანსების წყარო**		

	შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარებულია 2 ტრენინგი სულ მცირე 30 თანამშრომლის მონაწილეობით	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 1.2.2.	სპეციალიზებული პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემდგომი გადამზადების მიზნით, შშმ პირთა საკითხებზე, 2 ტრენინგის ჩატარება (მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემაზე)			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: სპეციალიზებული პროკურორებისთვის/პროკურატურის გამომძიებლებისთვის შემდგომი გადამზადების მიზნით, შშმ პირთა საკითხებზე, ჩატარებულია 2 ტრენინგი სულ მცირე 30 სპეციალიზებული პროკურორის/ პროკურატურის გამომძიებლის მონაწილეობით (მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თემაზე)	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 1.2.3.	შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის ტრენინგ-მოდულის შესაბამისად, ტრენინგის ჩატარება სტაჟიორ პროკურორებისთვის და გამომძიებლებისთვის			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გასავლელად შერჩეული კანდიდატებისთვის შექმნილია ტრენინგ-მოდული შშმ პირთა უფლებებისა და საჭიროებების, მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ. მოდული ინტეგრირებულია სტაჟიორთა მოსამზადებელ სასწავლო კურსში. სასწავლო მოდულის შესაბამისად ჩატარდა ტრენინგი სტაჟიორ პროკურორებისთვის და გამომძიებლებისთვის.	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი	დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება:			
მიზანი 2.	**შშმ პირთა ექსპლუატაციისგან, არასათანადო მოპყრობისაგან და დისკრიმინაციისაგან დაცვა და შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება**			

<table>
<tr><td>ამოცანა 2.1.</td><td colspan="4">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2021)
შშმ პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 67 პირის მიმართ;

დაზარალებულად ცნობილია 81 შშმ პირი;</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2022):
შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი გაზრდილია;

დაზარალებულ შშმ პირთა სტატისტიკური მაჩვენებელი გაზრდილია;</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.1.</td><td colspan="4">„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის 1 ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“ არსებული რეკომენდაციის (მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ან/და შშმ პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე) განახლება</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
რეკომენდაცია - „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის 1 ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“ (მათ შორის შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ან/და შშმ პირების მიმართ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე) განახლებულია.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.2.</td><td colspan="4">შშმ პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით სამუშაო შეხვედრის ჩატარება საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით</td></tr>
<tr><td></td><td>აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
</table>

	შშმ პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს წარმომადგენლების მონაწილეობით.		დონორი ორგანიზაცია	
	პარტნიორი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო			
ამოცანა 2.2.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით, საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2021) საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა შშმ თემის წარმომადგენლებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან სამუშაო შეხვედრა გამართა. პროკურატურის ვებ-გვერდზე პროაქტიულად ქვეყნდებოდა ინფორმაცია პროკურატურის მხრიდან შშმ პირების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2022)** საქართველოს პროკურატურის თანამშრომლობა შშმ თემის წარმომადგენლებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან გაგრძელდება. პროკურატურის ვებ-გვერდზე განთავსდება ინფორმაცია შშმ პირების უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ		
	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირებისთვის	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის		

<table>
<tr><td></td><td colspan="3">მობილობის შეზღუდვის მქონე პირთათვის მისაწვდომია პროკურატურის 16 ადმინისტრაციული შენობა.</td><td colspan="2">საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების მისაწვდომობა შშმ პირთათვის გაუმჯობესებულია</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.2.1.</td><td colspan="5">სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით სამუშაო შეხვედრის ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
ჩატარებულია სულ მცირე ერთი სამუშაო შეხვედრა შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსა და შშმ თემის მონაწილეობით.</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td rowspan="2">დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="5">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.2.2.</td><td colspan="5">შშმ პირების მიმართ ან/და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების შესახებ ინფორმაციის პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
შშმ პირების მიმართ ან/და შშმ ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია პროკურატურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td rowspan="2">დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="5">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.2.3.</td><td colspan="5">საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდის ადაპტირება შშმ პირებისთვის</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
</table>

	საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის	სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			
აქტივობა 2.2.4.	საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობების მისაწვდომობის შშმ პირთათვის გაუმჯობესება			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის, ფოთის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის მოწყობა.	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული ხარჯი		
	პარტნიორი უწყება:			

სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგი და ანგარიშგება

საქართველოს პროკურატურაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი.

საქართველოს პროკურატურა აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების თაობაზე ანგარიშგებას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურორის, ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის წინაშე.